საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010154909715117
საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№7134 21 / ნოემბერი / 2017 წ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

საქართველოს სამინისტროებს და სახელმწიფო
მინისტრების აპარატებს

საქართველოს მთავარ პროკურატურას

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 7 ივლისს ტალინში ევროკავშირისა და „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ წევრი ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრთა შეხვედრაზე (JHA) განხილულ იქნა ამ სფეროებში თანამშრომლობის საკითხები და გატარებული რეფორმები. მინისტერიალზე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ჩვენი ქვეყნის სახელით წარადგინა ორი ინიციატივა, რომლებიც მიზნად ისახავს „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ პლატფორმის თანამშრომლობის გაძლიერებას და მჭიდრო პარტნიორობას ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან:

1. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნებს შორის სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეებზე სასამართლო თანამშრომლობის რეგიონული ქსელის შექმნა;
2. „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნებს შორის ყოველწლიური ფორუმის მოწყობა სამართლებრივ რეფორმებთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ინიციატივებთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ კონცეპტუალურ დოკუმენტში დეტალურად არის ახსნილი, თუ რა მიზანს ემსახურება რეგიონული ქსელი და ყოველწლიური სამართლებრივი ფორუმი. ამასთან, დოკუმენტები შეიცავს დამატებით არგუმენტაციას და მოსაზრებებს იმ საკითხებთან მიმართებით, რაც ინიციატივების გაჟღერების შემდეგ დაფიქსირდა ევროკავშირის წარმომადგენლებისა და „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ წევრი სახელმწიფოების მიერ.

ჩვენ მიერ მოწოდებულ საკომუნიკაციო სტრატეგიაში დეტალურად არის ახსნილი, რა გზებით არის შესაძლებელი ინიციატივების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და მოლაპარაკებების წარმოება.

დანართი: 19 (ცხრამეტი) გვერდი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე		ალექსანდრე ბარამიძე